ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2018 წლის 5 თებერვალი

სოფ. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 იანვრის №4 დადგენილებაში (ვებ.გვერდი 27.01.2015; სარეგ. კოდი: 190040000.35.150.016078) და დანართი №1-ის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**

დანართი №1

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

1. ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობაზე საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ზღვრული ოდენობა ყოველთვიურად 160 (ას სამოცი) ლარით განისაზღვროს.